ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტი

ინსტიტუტი აერთიანებს კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის კათედრებს. თითოეული მათგანი ახორციელებს სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას და პროფილის მიხედვით ანტიკური პერიოდის ბერძნული და ლათინური ენების, შუა საუკუნეების ბერძნულისა და ლათინურის, აგრეთვე თანამედროვე ბერძნული ენის, ლიტერატურის, კულტურისა და ისტორიის შესწავლას ემსახურება. ინსტიტუტის მიზანია შესძინოს სტუდენტს საფუძვლიანი პროფილური ცოდნა და, ამასთანავე, უზრუნველყოს მისი ინტერდისციპლინური განათლება, რათა ინსტიტუტის კურსდამთავრებულმა არა მარტო ვიწრო სპეციალობით, არამედ ფართო ზოგადფილოლოგიური და ზოგადჰუმანიტარული პროფილით დასაქმებაშეძლოს. ამ მიზანს ემსახურება ინსტიტუტის სპეციალიზებული ბიბლიოთეკა, რომელიც აღმოსავლეთ ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი დარგობრივი საბიბლიოთეკო ცენტრია (ბიბლიოთეკაში დაცულია 30.000-ზე მეტი წიგნი).

ინსტიტუტში არსებული სამივე კათედრა დიდ ყურადღებას უთმობს როგორც ინდივიდუალურ, ისე ერთობლივი სამეცნიერო პროექტებს, რომელთაგან აღსანიშნავია ლექსიკონებზე, სახელმძღვანელოებსა და ერთობლივ კრებულებზე მუშაობა. საგანგებო მნიშვნელობა ენიჭება სამეცნიერო აპარატით აღჭურვილ თარგმანთა მომზადებას. დიდი მოცულობის ერთობლივი პროექტებიდან აღსანიშნავია *ბერძნული მითების სამყაროს* ათტომეული, ძველბერძნულ-ქართული, ახალბერძნულ-ქართული და ქართულ-ახალბეძნული ლექსიკონები. ამჟამად ინსიტუტში მიმდინარეობს ორ დიდ პროექტზე მუშაობა: უკვე გამოქვეყნდა მრავალტომეული ენციკლოპედიის, *ანტიკური კავკასიის* ორი ტომი; უახლოეს წლებში დაგეგმილია შემდეგი ტომების გამოქვეყნება. გამოსაცემად მზადდება ბიზანტიურ-ქართული ენციკლოპედიური ლექსიკონი*Byzantino-Georgica*.სხვადასხვა ტიპის სამეცნიერო ნაშრომთა პუბლიკაციას ინსტიტუტში მოქმედი საგამომცემლო პროგრამა „ლოგოსი“ უზრუნველყოფს.

ინსტიტუტის აკადემიური და სამეცნიერო სტრატეგიისთვის არსებითია რელიეფური საერთაშორისო პროფილის გამოკვეთა. ინსტიტუტში თითქმის ყოველ წელს ტარდება

საერთაშორისო კონფერენციები. ასე, 2017 წელს ინსიტუტმა უმასპინძლა საერთაშორისო კონფერენციას „მედეას თემა მსოფლიო მხატვრულ კულტურაში“. 2018 წელს განსაზღვრულია საერთაშორისო კონფერენციის „პლატონის ფილოსოფია ინტერდისციპლინურ კონტექსტში“ ჩატარება. ინსტიტუტის ბაზაზე შეიქმნა საერთაშორისო რეფერირებადი წელიწდეული *ფაზისი*, რომელიც ქართველ და უცხოელ მეცნიერთა სამეცნიერო წერილებს აქვეყნებს. ინსტიტუტის სამეცნიერო საქმიანობა საერთაშორისო დონეზე საცნაურია აგრეთვე ინსტიტუტის თანამშრომელთა უცხოეთში განხორციელებული პუბლიკაციებითა და პროფესორ-მასწავლებელთა თუ დოქტორანთა მობილობით. სადოქტორო და სამაგისტრო პროგრამების სტუდენტებში მეცნიერული მუშაობის უნარჩვევათა გამომუშავებისთვის ინსტიტუტში შემოღებულია სამეცნიერო პუბლიკაციებში, საერთაშორისო კონფერენციებსა და სხვა ერთობლივ პროექტებში პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა თანამშრომლობის პრაქტიკა.2004 წლიდან ინსტიტუტი გამოსცემს სტუდენტთა წელიწდეულ*მნემოსინეს.* ბოლონიის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით ინსტიტუტში ხორციელდება ფრანგულენოვანი სადოქტორო პროგრამა, რომელიც თავის კურსდამთავრებულს ორმაგ აკადემიურ ხარისხს ანიჭებს.

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Faculty of Humanities

The Institute of Classical, Byzantine and Modern Greek Studies

The Institute integrates the chairs of Classical Philology, Byzantine Studies and Modern Greek Studies. Each of the chairs offers academic curricula at all the three levels of higher education including, respectively, ancient and medieval Greek and Latin as well as modern Greek language, literature, culture and history. The Institute aims to provide students with specialized professional as well as interdisciplinary knowledge, in order to prepare them for a broader scope of employment opportunities in the areas of philology and the humanities in general. The Institute's library, which is among the biggest specialized libraries in Eastern Europe (with over 30 000 books), plays an important role in this regard.

All of the three chairs of the Institute pay close attention to individual as well as collaborative research projects, the most important of which are projects aimed at the compilation of dictionaries, textbooks and collections of works. A special focus is laid on translations provided with scholarly apparatus. Among major joint projects that have already been completed are the ten volumes of *The World of Greek Myths* and Ancient Greek-Georgian, Modern Greek-Georgian and Georgian-Modern Greek Dictionaries. Currently, the Institute is running two major projects: a comprehensive encyclopedia *Caucasus Antiquus*, two volumes of which have already been published, to be followed by other volumes in the near future, and the forthcoming Byzantine-Georgian encyclopedic dictionary *Byzantino-Georgica*. Logos, the publishing program of the Institute, is in charge of the publication of various works by the academics and students of the Institute.

An essential aspect of the Institute's academic and research strategy is its dynamic international focus. The Institute holds international forums almost every year. In 2017, it hosted an international conference on *The Theme of Medea in the Artistic Culture of the World*, while in 2018 it is preparing for a conference on *Plato's Philosophy in an Interdisciplinary Context.* The Institute runs an annual journal *Phasis*, which publishes papers by Georgian and foreign researchers. Further evidence of the Institute's research activities at an international level are publications of its professors abroad as well as academic mobility of its professors and doctoral students. To contribute to the development of research skills in graduate students, the Institute encourages their collaboration with the faculty and participation in research publications, international conferences and joint projects. From 2004, the Institute has been publishing *Mnemosyne*, an annual journal of students' papers. Jointly with the University of Bologna, the Institute offers a French-language dual degree PhD program.